საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2024 წლის ივნისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2024 წლის ივნისის თვეში.

საქართველოს კანონი „ტურიზმის შესახებ“

2024 წლის 13 ივნისს „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ვ) 2026 წლის 1 იანვრამდე მიიღოს „საქართველოში შემომსვლელი ტურისტების ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება;“.

2. 51-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ამ კანონის მე-12 მუხლის მოქმედება შეჩერდა 2026 წლის 1 იანვრამდე.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 460070000.05.001.102283

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2024 წლის 27 ივნისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509[2] მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაწესებულება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად უნდა დარეგისტრირდეს 2024 წლის 1 დეკემბრამდე. მისი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეგისტრაციის, გარდაქმნილი სუბიექტის ვალდებულებებისა და შესაბამისი ქონებრივი საკითხების რეგულირების მიზნებისთვის გამოიყენება ამ კოდექსითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით საწარმოს რეორგანიზაციისთვის დადგენილი წესები იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც საჭიროა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მიზნებისთვის.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040000000.05.001.102286

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №144/04

2024 წლის 5 ივნისს დამტკიცდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესი და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის №287/04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.18.011.016860

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2024 წლის 13 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №203 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017830

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში, 2024 წლის 19 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №208 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) და „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017831

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2024 წლის 10 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №198 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 98 „აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზების ნებართვის ან/და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემა“; დანართი №VI-062-ის (სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების სანებართვო მოწმობა) შემდეგ დაემატა დანართი №VI-063, დანართი №VI-064 და დანართი №VI-065 და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017829

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში, 2024 წლის 26 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №217 ბრძანებით გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და 7^1 მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 7^2 მუხლი:

„მუხლი 7^2. დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულებებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) ვალდებულია, განახორციელოს:

ა) საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენა;

ბ) საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ის რეგისტრაციიდან მოხსნა;

გ) ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტ(ებ)ის განაშთვა;

დ) ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)ში ბოლო საბანკო/საგადახდო ანგარიშის დახურვა;

ე) მატერიალური ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) განაშთვა;

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ვ) მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების, მათ შორის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიწოდება/განაშთვა;

ზ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.“.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017833

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №05

2024 წლის 26 ივნისს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის №5 ბრძანებით „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს №05 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მუხლი 1 „ინსტრუქციის რეგულირების სფერო“; მუხლი 9 „განაცხადის გაყოფა და გაერთიანება“ და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 050050000.48.065.016037

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

LCC
Law Firm

საქართველოს მთავრობის დადგენილება №405

2024 წლის 24 ივნისს საქართველოს მთავრობის №200 დადგენილებით „დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №405 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის“:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირის მიერ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაცემული პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;“.

2. მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით

„ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ (გარდა სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირებისა, რომლებიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გასცემენ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატსა და სერტიფიკატის დანართს, აღნიშნული დოკუმენტების ნაწილში) გაცემული დოკუმენტები;“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010340000.10.003.024594

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge